

ზმნისართით ყოველთვის ვერ ხერხდება და სხვ., მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სახელურ-ზმნური შესიტყვებები (განსაკუთრებით, რომლებშიც გარდამავალი აწარმოებს ზმნა მონაწილეობს) ენაცვლება ქართული სათავის უფრო ბუნებრივ მარტივ ზმნა-შემასმენლებს, რაც სტილისტიკურად მიუღებელია.

ამიტომ სწორმეტყველების თვალსაზრისით დასახვეწია შემდეგი წინადადებები: „მეორე საკითხი, რომელზედაც საუბარი მინდა ვაწარმოო [უნდა იყოს: მინდა ვისაუბრო] არის 'შემდეგი'“ (ტელეგად.); „აუცილებელია, ტყის განახლებული უბნებიდან ხე-ტყის გამოზიდვა სატრაქტორო გზამდე ვაწარმოოთ [უნდა იყოს: ხე-ტყე სატრაქტორო გზამდე გამოვზიდოთ]... გამწევი ძალით“ („საქ. ბუნ.“); „დაჯილდობას აწარმოებს [უნდა იყოს: აჯილდოებს] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო“ („კოლმ.“); „ჯიშოანი სიმინდის თესლის გამოყვანას სამი კოლმეურნეობა აწარმოებს [უნდა იყოს: სიმინდის თესლი სამ კოლმეურნეობას გამოჰყავს]“ („გამარჯვ. გზა“); „უკვე რამოდენიმე დღეა 'ისინი' აწარმოებენ თამბაქოს მოსავლის აღებას [უნდა იყოს: იღებენ თამბაქოს მოსავალს]“ („გამარჯვ. დროშა“); „აქვე უხვადაა მლაშე წყლები, საიდანაც ძველად ხელოვნურად აწარმოებდნენ მარილის მიღებას [უნდა იყოს: იღებდნენ მარილს]“ („საქ. ბუნ.“); „კერძების მომზადება წარმოებს [უმჯობესია: კერძები მზადდება] გამოცდილი კულინარების ხელმძღვანელობით“ („თბილ.“); „ლატარიის ბილეთით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს [უმჯობესია: ავტომანქანები გაიცემა] მხოლოდ ქ. თბილისში“ („კომ.“); „იწარმოებს კერძების გაცემა [უმჯობესია: კერძები გაიცემა] სახლში წასაღებად“ („თბილ.“); „რესპუბლიკის სასტუმროებში... იწარმოებს თვითმფრინავის ბილეთების გაყიდვა [უმჯობესია: გაიყიდება ბილეთები]“ („ახ. კომ.“).

ბ

ბაზარი/ბაზარზე. ა) ბაზარი ერთი გავრცელებული და ყველასათვის ცნობილი მნიშვნელობით არის სურსათ-სანოვაგისა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი (ჩვეულებრივ, მოედანი). მაგ.: საკოლმეურნეო ბაზარი, დახურული ბაზარი... ბაზარი ბაზრის ტერიტორიაზე გამართული ვაჭრობის მნიშვნელობითაც იხმარება. მაგ.: ღღეს კარგი ბაზარი იყო.

ბაზარს უკავშირდება **ბაზრობა**, რომელიც თავდაპირველად ალბათ ბაზარში (ვაჭრობისათვის განკუთვნილ ადგილას, მოედნებზე) იმართებოდა. მაგ.: „ამ სოფელში იმართებოდა **ბაზრობა**“ (ი. გოგებ.). შესიტყვებაში **ბაზარში მიდის** აქცენტირებულია ტერიტორია, ადგილი, სადაც ვაჭრობა იმართება, ხოლო შესიტყვებაში **ბაზრობაზე მიდის** მოქმედების მიზანია წინ წამოწეული (=სავაჭროდ მიდის). შდრ. ამ თვალსაზრისით ასეთი წინადადება: „კურდღელს ორი ოქრო ჰქონდა და **ბაზრობაზე** მიდიოდა... შემოდგომა იყო, წვიმდა და ციოდა. [კურდღელმა] ფეხს აუჩქარა, რომ დროზე მისულიყო **ბაზარში** და ფეხსაცმელი ეყიდა“ (საზლ. ხალხ. ზღაპ.).

ვინაიდან **ბაზარი** ბაზრის ტერიტორიაზე გამართული ვაჭრობის მნიშვნელობითაც იხმარება (იხ. ზემოთ მოყვანილი განმარტება **ბაზრისა**), მაშინ **ბაზრისა** და **ბაზრობის** სინონიმური ხმარება ისტორიულად მოულოდნელი არ ჩანს. ამის მიხედვით **ბაზარზე იყიდა** და **ბაზრობაზე იყიდა** ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე შესიტყვებებია. ასევე ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ შესიტყვებებს — **ბაზარზე გაიტანა გასაყიდად** და **ბაზრობაზე გაიტანა გასაყიდად**.

რადგანაც **ბაზარს** ამ შესიტყვებებში **ბაზრობის** მნიშვნელობა აქვს, მისი **-ზე** თანდებულიანი ფორმით გამოყენება სავსებით გამართლებულია.

თანამედროვე ქართულში **ბაზრისა** და **ბაზრობის** მნიშვნელობა ერთმანეთს დასცილდა. **ბაზრობამ** ძველი, სახელდახელოდ, სტიქიურად მოწყობილი ბაზრობებისაგან განსხვავებით, წინასწარ ორგანიზებული ფართო მასშტაბის ღონისძიების ნიუანსი შეიძინა. შდრ.: სასკოლო ბაზრობა, საგაზაფხულო ბაზრობა, ასევე: საერთაშორისო ბაზრობები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო ორგანიზაციათა დიდ თავყრილობებად, ფორუმებად იქცევა ხოლმე,

სახე იცვალა თანამედროვე **ბაზარმაც**. იგი, როგორც ჩვენი ყოველდღიურობის აუცილებელი ნაწილი, მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი ობიექტია. ძველი, ღია ცის ქვეშ მოედანზე მოწყობილი სავაჭროდ განკუთვნილი ადგილისაგან განსხვავებით, თანამედროვე **ბაზარი** სპეციალური ნაგებობითა (თუ ნაგებობებით) და სათანადო მოწყობილობით აღჭურვილი შემოსაზღვრული ადგილია.

სათანადო კონტექსტებში, რომლებშიც რომელიმე ქალაქისა თუ დასახელებული პუნქტის სურსათ-სანოვაგითა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილ კონკრეტულ ობიექტზეა საუბარი, **ბაზარი** (შესაბამისად, **ბაზრები**) მხოლოდ **-ში** თანდებულიანი ფორმით შექმნის მართებულ შესიტყვებას: საკოლმეურნეო ბაზარში (ბაზრებში) ხალხმრავლობაა, ბაზარში (ბაზრებში) დიდძალი სურსათ-

სანოვაგე იყიდება, ბაზარში დგას, ბაზარში ნაცნობს შეხვდა, ბაზარში ხეტიალობს, რუსეთის ბაზრებში დახეტიალობს, ბაზრიდან ბაზარში დაეხეტება. (შდრ.: სასკოლო ბაზრობაზე ხალხმრავლობაა, წინასა-დღესასწაულო ბაზრობაზე დიდძალი სურსათ-სანოვაგე იყიდება და სხვ.).

ბოლო წლების პრესის ენაში მართებული -ში თანდებულიანი ფორ-მის გვერდით ბაზარი -ზე თანდებულიანი ფორმითაც გვხვდება. ბა-ზარ- სიტყვით შედგენილ -ზე თანდებულიან კონსტრუქციას ისტორიუ-ლად ბაზარ- და ბაზრობა სიტყვათა სინონიმური გამოყენების შესა-ძლებლობა უდევს საფუძვლად. მას თანამედროვე ქართულში აცო-ცხლებს და აქტუალობას სძენს ნა (-ზე) წინდებულიანი სათანადო რუსული შესიტყვება (რომელშიც ბაზარზე ფორმის ეკვივალენტური ნა рынке იღებს მონაწილეობას). მაგალითად:

„სოჭის ბაზარზე მუდმივი ადგილი დაუკავებია... ხუბულავას“ („კომ.“); „ქალაქ ტუაფსეს ბაზარზე ციტრუსებით მრავალ მოვაჭრეს შეეხვდით“ („კომ.“); „[იგი] იღვა ვოლგოგრადის ბაზარზე და ყიდდა ფორთოხალს“ („სოფლ. ცხოვრ.“); „საკოლმეურნეო ბაზრებზე და ბოსტნეულის მაღაზიებში ბლომად იყიდება სტაფილო“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მისთვის პირველი შემთხვევა როდია რუსეთის ბაზრებზე ხეტიალი“ („კომ.“); „...კრასნოდარის მხარის ბაზრებზე ძირითადად საქმიანობენ... აფხაზეთის ასსრ რაიონებიდან ჩამოსული სპეკულანტე-ბი“ („კომ.“).

ზოგჯერ ერთსა და იმავე სტატიაში და, რაც მთავარია, ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება -ზე და -ში თანდებულიანი ფორმები:

„ქ. როსტოვის ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში მანდარინსა და ლიმონს ჰყიდდა... შეგვერემანი ქალი“ („სოფლ. ცხოვრ.“), მაგრამ: „ზემოთ დასახელებული ქორვაჭრები... როსტოვის ცენტრალურ სა-კოლმეურნეო ბაზარზე... ჰყიდდნენ მანდარინს, ლიმონს, ხურმას“ (იქვე); „ქალაქ ანაპის ცენტრალურ ბაზარში ვნახეთ ოთხმოც წელს მიღწეული მოხუცი“ („კომ.“), მაგრამ: „იმავე ბაზარზე ვნახეთ... დახლ-ზე დახვავებული მანდარინი“ (იქვე). შდრ. სწორად ხმარების შემთხვე-ვები იმავე გაზეთების ფურცლებიდან: „ვიცი, მათი ოჯახის წევრები როდის მიდიან ბაზარში და როდის ბრუნდებიან“ („თბილ.“); „ერთ-ერთ მათგანს 6 ნოემბერს კალინინის სახელობის ბაზარში გადავეყა-რეთ“ („სოფლ. ცხოვრ.“) და მისთ.

ბ) სხვა მნიშვნელობით ბაზარი ნიშნავს საქონლის მიმოქცევის სფეროს. ბაზარი ამ გაგებით სათანადო კონტექსტში მხოლოდ -ზე თან-დებულიანი ფორმით შექმნის მართებულ შესიტყვებას: „ამას წინათ ამერიკის წიგნის ბაზარზე ამ სერჟიიდან გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი

„როგორ მოვკლათ?“ („დროშა“); „ახლო მომავალში წიგნის **ბაზარზე** გამოვა კრებული „ქართული ფოლკლორი“ („თბილ.“); „მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ შრომის **ბაზარზე** შექმნილს საერთო ვითარებას, ეს განცხადება ძნელია ვინმემ სერიოზულად მიიღოს“ („თბილ.“); „მთავრობა ფერმერებს დაწესებულ ზღვრულ ფასს გადაუხდის და სასაქონლო პროდუქციას შეინახავს საგარეო თუ საშინაო **ბაზარზე** ფასების აწვევის მოლოდინში“ („თბილ.“).

ბაზარს კიდევ ერთი შინაარსობრივი ნიუანსი აქვს: აღნიშნავს ქვეყანას (ქვეყნებს), სადაც სხვა ქვეყნის საქონელი გააქვთ გასასაღებლად. მაგ.: „მსხვილი ბურჟუაზია ახალ ბაზრებს ეძებდა“ (პარტ. ისტ.).

ბაზარი ამ მნიშვნელობითაც სათანადო კონტექსტში **-ზე** თანდებულისანი იქნება (იხ. ავრ. **-ზე/-ში**).

ბედი ეწვია; ბედს ეწია. სახელი **ბედი** არაერთ მყარ გამოთქმაში იღებს მონაწილეობას, მათ შორის საყურადღებოა გამოთქმები: **ბედი ეწვია, ბედს ეწვია, ბედს სწევს**, რომლებიც შეტანილია ქეგლ-ში **ბედ-** სტატიასთან და ასეა განმარტებული: „**ბედი ეწვია** (და არა: ეწვევა) იგივეა, რაც **ბედი კარზე მიაღებია**: „ჩვენ კი **ბედი გვეწია**“ (ილია); **ბედს ეწვია** — საბედოს იპოვის, გაბედნიერდება: „იქნებ გათხოვდეს, **ბედს ეწიოს!**“ (მიხ. მრევლ.); **ბედსა სწევს** — ბედნიერებას შეპყრის, გააბედნიერებს: „მგელმა უთხრა [კომბლეს]: „ოღონდ ნუ მომკლავ და **ბედსა გწევო!**“ (თ. რაზიკ.). ეს გამოთქმები თანამედროვე სალიტერატურო ენაშიც მტკიცედაა დამკვიდრებული. მაგ.: „ცოცხლად გადაარჩენილ ერთადერთ დერვიშსაც იგივე **ბედი ეწია**“ (გ. აბაშ.); „...შემდგომში რა **ბედი ეწია** მას, არ ვიცი“ („კომ.“).

ერთ-ერთი ამ გამოთქმათაგანი — **ბედი ეწია** — უმართებულოდ უხმარია ზოგიერთ ავტორს: „მან ბედი სცადა ამ საქმეში, მაგრამ სრული ფიასკო განიცადა, იგივე **ბედი ეწვია** სხვა მთარგმნელთა უმრავლესობას“ (კ. გამს.). მოცემული გამოთქმის ამგვარი ხმარებისაგან თანამედროვე პრესაც არ არის დაზღვეული: „ვინ იცის, ვის რა **ბედი ეწვია**, ვინ დაბრუნდა, ვინ არა...“ („კომ.“) „...ხმები დაირხა: დანარჩენ სამსპეკულანტ ქალსაც იგივე **ბედი ეწვიაო**“ („თბილ.“).

ამ შემთხვევაში **ეწვია (დაეწვია)** ზმნა აღრეულია **ეწვევა (დაეწვევა)** ზმნასთან. ასეთი აღრევა მხოლოდ ამ ერთ გამოთქმაშია, სხვა გამოთქმებში არ გვხვდება (ასეთებია: **სიხარულით ცას ეწია; საწადელს ეწია; გზას ეწია**: „დროით ვეწიოთ აწი გზას, სოლომონ“ (რ. ჯაფ.); **კარგ ცხოვრებას ეწია**: „ხალხი დაკეთდაო, **კარგ ცხოვრებას ეწიაო**, სახლები აიშენესო“ (გ. ციციშ.)... რა თქმა უნდა, გამოთქმები — **ბედი ეწვია, ბედი ეწვია** გაუგებრობის ნაყოფია, ხოლო მას ადასტურებს

სწორედ დანარჩენი ორი სახეობა ამ გამოთქმისა: **ბედს ეწევა** და **ბედსა სწევს**.

გამოთქმაში **ბედსა სწევს** ზმნა **სწევს** ორობიექტიანია: **იგი** (სუბიექტი) **მას** — **ბედს** (ბრუნვაცვალებადი ობიექტი) **სწევს** (მისწევს, დააწევს) **მას** (ბრუნვაუცვლელი ობიექტი); **მან ბედი სწია** **მას** (ანალოგიური კონსტრუქციისათვის შდრ. გამოთქმა: **მან შავი დღე დაწია** (მას). ეს არის ამოსავალი ვითარება: ამას ადასტურებს ამ გამოთქმის ისეთი ვარიანტი, რომელშიც ბრუნვაუცვლელ ობიექტად მეორე პირია წარმოდგენილი: **მე შენ ბედსა გწევ**. ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ გამოთქმა **მას ბედი ეწია** შეიძლება მხოლოდ ამგვარი ფორმის ვნებიურად მოქცევის შედეგი იყოს: ასეთი მოქცევის შედეგად **ბედი** (ბრუნვაცვალებადი ობიექტი) ვნებითან სუბიექტად მოგვევლინა, ბრუნვაუცვლელი ობიექტი (მას) იმავე ბრუნვაში დარჩა უცვლელად, ხოლო მოქმედებითის შემცველი გამოთქმის სუბიექტი დაიკარგა.

არსებობს გამოთქმა **ბედსა სწია მან იგი** (**ბედსა სწევს ის მას**), რომლებშიც **ბედი** ბრუნვაუცვლელ ობიექტადაა ვაგებული, მაგრამ ეს ის შემთხვევათაგანია, როცა ბრუნვაუცვლელ ობიექტად იქცევა (გაიგება) ბრუნვაცვალებადი ობიექტი და პირუკუ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მაშინ, როცა გამოთქმას — **ბედი ეწია** — უმართებულო **ბედი ეწვია** ცვლის, შეუძლებელია **ბედს ეწია** შეცვალოს გამოთქმამ — **ბედს ეწვია**: ასეთი გამოთქმა არ არსებობს.

ამრიგად, მართებული ფორმებია: **ბედსა სწევს** (ის მას); **ბედსა გწევ** (მე შენ); **ბედი სწია** (მან მას); **ბედი ეწევა** (მას); **ბედი ეწია** (მას). არსებობს გამოთქმა: **რა ბედი ეწია ამ საქმეს?**

უმართებულოა: **ბედს ეწია** (იგი), **ბედსა სწია** (მან ის) და, რა თქმა უნდა, **ბედი ეწვავა** (მას); **ბედი ეწვია** (მას).

ბევრი — მრავალი — დიდი განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები სინონიმებია, მათ მაინც ფუნქციები თითქოს განაწილებული აქვთ, გამოყენების არეც — განსაზღვრული.

1. **ბევრი — მრავალი**. გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ სახელთაგან ყველაზე ფართო მოხმარებისაა სიტყვა **ბევრი**, მას თავდაპირველად კონკრეტული შინაარსი ჰქონდა (შდრ. ძველი ქართულის **ბევრი** = 10.000). როგორც ჩანს, გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელ მსაზღვრელად მისი გამოყენებისას ძველსა და საშუალ ქართულში მნიშვნელობა არა ჰქონდა საზღვრულის სიმრავლის ხასიათს, — იგი შეიძლებოდა ყოფილიყო თვლადიც და არათვლადიც. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ **მრავალი** იმავეითვე მხოლოდ თვლადი სიმრავლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, თანდათან შემოისაზღვრა **ბევ-**

რის ხმარების არეც, და თანამედროვე ქართულში იგი ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის გარკვეული ჯგუფის სახელებთან. კერძოდ: ა) ნივთიერების სახელებთან, რომელთა სიმრავლე, სიდიდე დაუნაწევრებელია, მთლიანია (**ბევრი ღვინო, ბევრი წყალი, ბევრი ოქრო...**); ბ) საწყისებთან ანდა შინაარსობრივად მათთან ახლოს მდგომ სახელებთან (**ბევრი კითხვა, წერა, მუშაობა, ლაპარაკი, ბევრი სიცილი, სიმწარე, საქმე...**); გ) ზოგადი სემანტიკის — პროფესიის, ხელობის, სოციალური მდგომარეობის — აღმნიშვნელ სახელებთან (**ბევრი მევენახე, გამყიდველი, ოჯახი...**); დ) ზმნისართული ფუნქციით ბევრი შეიძლება შეგვხვდეს ზმნებთანაც (**„ბევრი ვეცადე, ძირმწარეს ვერ გავუთხარე ძირი მე“, — აკაკი**).

მაგრამ თუ საზღვრული სახელი გასუბსტანტივებული საწყისითაა წარმოდგენილი, ან აქვს ამის ტენდენცია, მასთან უფრო ბუნებრივია მრავალ-ის გამოყენება, ვიდრე ბევრ-ისა: **მრავალი** [შე]კითხვა, **მრავალი ცდა...** ასევე, როდესაც პროფესიის, ხელობის, სოციალური მდგომარეობის გამომხატველი სახელები კონკრეტულ პირებს ახასიათებს, გაურკვეველი სიმრავლის აღსანიშნავად მათთან შესიტყვებაში ბუნებრივია ზედსართავი სახელი **მრავალი**.

მაშასადამე, ბევრის გამოყენება მართებულია არათვლადი, დაუნაწევრებელი, ზოგადი სიმრავლის აღსანიშნავად, ხოლო **მრავალი** ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის ისეთ სახელებთან, რომლებიც თვლადია ანდა გამოხატავს დანაწევრებულ მთლიანობას. ამგვარი გამოთქმებია: **მრავალი მთა (მდინარე...), მრავალი ქვეყანა (ქალაქი)... მრავალი ადამიანი, მრავალი წელი** და ა. შ.

ამიტომ სიზუსტის თვალსაზრისით არ უნდა იყოს მთლად მართებული ბევრის ხმარება თვლად სახელებთან, მაგ.: „ჩვენს ქვეყანაში არის ბევრი [აჯობებდა: მრავალი] სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ ადამიანებს პროფესიის ან რაიმე სპეციალური ინტერესების მიხედვით“ („საზოგად.“); „იმპერიალისტური სახელმწიფოები დღემდე ზემოგებას იღებენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი [აჯობებდა: მრავალი] ქვეყნიდან“ (იქვე); „თბილისის ჭადრაკის სასახლეს ბევრი [უნდა იყოს: მრავალი] დიდი ტურნირისა და მატჩისათვის უმასპინძლია“ („ლელო“); „მისი ეს ნაბიჯი თავდაპირველად არავის ვაკვირებია, რადგან ბევრი [აჯობებდა: მრავალი] შემთხვევაა, როცა სახელგანთქმული ფეხბურთელი სპორტული კარიერის დამთავრებისას სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ სფეროში წარმატებით შრომობს“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ზღვის ბევრი [უნდა იყოს: მრავალი] წყალმცენარე იხმარება ადამიანის საზრდოდ“ („ბოტ.“); „კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიები დიდი გავლენით სარგებლობენ

ბევრ [უნდა იყოს: მრავალ] მძლავრ პროფკავშირულ **გაერთიანებაში**“ („საზოგად.“); „საბინაო მშენებლობის **ბევრ** [უნდა იყოს: მრავალ] **ობიექტში** კვლავინდებურად ურიგდებიან სერიოზულ გადახრებს პროექტებისა და ტექნიკური წესებისაგან“... („კომ.“); „აკადემიის **ბევრმა** [აჯობებდა: მრავალმა] **ინსტიტუტმა** საანგარიშო წელს მიადწია მთელი თვალსაჩინო შედეგებს“ („კომ.“); „რეიგანი... პლანეტის **ბევრ** [უნდა იყოს: მრავალ] კუთხეში იწყებს ავისმომასწავებელი რაკეტების განლაგებას“ („თბილ.“); „ბიუროზე **ბევრი** [უმჯობესია: მრავალი] საინტერესო მოსაზრება გამოითქვა“ („ახ. კომ.“)...

ორგანიზაცია, ქვეყანა, ტურნირი, შემთხვევა, წყალმცენარე, გაერთიანება, ობიექტი, ინსტიტუტი... თვლადი სახელებია, რის გამოც გაურკვეველი სიმრავლის აღსანიშნავად მათთან სასურველი იქნებოდა გამოყენებული ყოფილიყო **მრავალი**.

2. **ბევრი, ბევრად** — **დიდი, დიდად**. მოქმედების სიმრავლის, ინტენსივობის, სიდიდის აღსანიშნავად საწყისთან მსაზღვრელად გამოიყენება აგრეთვე ზედსართავი სახელი **დიდი** (მაგ.: **წინ დიდი სამუშაოები** მოგველის, დაიწყო **დიდი რთველი**, საჭიროა **დიდი მონდომება** და მისთ.). მაშასადამე, გვაქვს, ერთი მხრივ, **ბევრი: სამუშაო, მუშაობა, ლაპარაკი, კითხვა**..., მეორე მხრივ **დიდი: სამუშაო(ები), მუშაობა, ლაპარაკი, «გამოქითხვა**...

მოქმედების სახელებთან მსაზღვრელად გამოყენებული **დიდი** აღნიშნავს საზღვრული სახელით გამოხატული მოქმედების არა მარტო ინტენსივობას, არამედ იგი გახაზავს აგრეთვე მის მასშტაბურობას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამ ფუნქციით მსაზღვრელად **ბევრის** გამოყენება უმართებულო ჩანს, მაგ.: „წინ ჯერ დაუპყრობელი მწვერვალები მოგველის. **ბევრი, კიდევ** ძალიან **ბევრი** [უმჯობესია: დიდი, კიდევ ძალიან დიდი] **გარჯა** გემართებს, რათა დაეძლიოთ ყველა ნაკლი, რომლებიც სწავლასა და შრომაში ხელს გვიშლის“ („კომ.“); „**ბევრი** [უნდა იყოს: დიდი] **შრომა** არ დაგვეჭირდა დ. ფიფიას განცხადების სისწორის დადგენაში“ („კომ.“). იგივე საკითხი დგას ზმნისართულად გამოყენებული **ბევრად (ბევრს)** სიტყვის ხმარებისას: „ეს **ბევრად** [უნდა იყოს: დიდად] **შეუწყობს** ხელს კავეულზე რესპუბლიკის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების პრობლემის გადაჭრას“ („კომ.“); „...მათი კვლევის შედეგებზე **ბევრად** [უნდა იყოს: დიდად] **არის დამოკიდებული** ნაადრევი სიბერის თავიდან აცილება“... („კომ.“); „ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და ეს **ბევრს** [უნდა იყოს: დიდად] **გვებმარება** გამარჯვების მოპოვებაში“ („ახ. კომ.“); „თუ სიყმაწვილეში არჩეული პროფესია უტყუარი გამოდგა, იგი **ბევრად** [უნდა იყოს: დიდად] **განსაზღვრავს** ადამიანის მომავალს“ („ახ. კომ.“).

ასევე შეუფერებელია მსაზღვრელად ანალოგიურ კონტექსტში **მრავალიც**: „ამ კანონმაც **მრავალი** [უნდა იყოს: დიდი] **შფოთი** ჩამო-
ავდო ორთა შუა“ (ილია).

ბინაში (//**ბინაზე**) — **სახლში** — **შინ**. ამ ფორმებს სინონიმუ-
რი მნიშვნელობა აქვს, რაც ხშირად ენაში მათი უმართებულოდ გამო-
ყენების წყარო ხდება.

ბინა ოჯახის საცხოვრებლად გამოყოფილი ნაწილია სახლისა,
შენობისა. **ბინა**, ჩვეულებრივ, ოთახისა (თუ ოთახების) და დამხმარე
სათავსებისაგან შედგება. ეს **ბინის** შედარებით ახალი, მაგრამ თანა-
მედროვე ქართულში ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული მნიშ-
ვნელობაა. (შდრ. რუსული квартира). მაგ.: „მეზობლების **ბინები**
ნორმალურად თბება“ („თბილ.“); „ყველანი ცალ-ცალკე **ბინაში** ვცხო-
ვრობთ“ („თბილ.“).

სახლი არის ადამიანთა საცხოვრებელი შენობა. მაგ.: ორსართუ-
ლიანი სახლი, ხის სახლი. „მდღობზე დგას ორსართულიანი ქვითკირის
სახლი“ (აკაკი). **სახლი**, როგორც ადამიანთა საცხოვრებელი შენობა,
შეიძლება იყოს პატარა, საცხოვრებლად ერთი ოჯახისათვის განკუ-
თვნილი, და დიდი — მრავალსართულიანი თუ მრავალბინიანი — და,
შესაბამისად, ოჯახების საცხოვრებელი.

ამის მიხედვით, ადამიანის, ოჯახის საცხოვრებელი, სამყოფელი
შეიძლება იყოს როგორც რომელიმე **ბინა** (სახლის ნაწილი), ასევე სა-
კუთრივ **სახლიც**. მნიშვნელობათა ასეთი დამთხვევა არის მიზეზი იმი-
სა, რომ **ბინასა** და **სახლს** აიგივებენ.

ენაში არის კიდევ ერთი ლექსიკური ერთეული, რომელიც სემან-
ტიკურად **ბინასა** და **სახლს** უკავშირდება. ეს არის **შინ** ზმნისართი. შინ
ნიშნავს: თავის სახლში, თავის ბინაში, თავის ოჯახში. მაგ.: შინ მიიბა-
ტყა, შინ (არ) დახვდა, მთელი საღამო შინ გაატარა. **შინ** ადგილის
ზმნისართია, იგი შესიტყვებაში -**ში** თანდებულებიანი სახელის ბადალია.

მიუხედავად ერთგვარი ლექსიკური სიახლოვისა, **ბინაში**, **სახლში**
და **შინ** ფორმებს განსხვავებული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი
შინაარსობრივი ნიუანსი ახლავთ, სალიტერატურო ენაში თავისი ად-
გილი უჭირავთ და გამოყენების საკუთარი სფერო აქვთ. და მაინც
ლექსიკური სიახლოვე და ზოგი სტილისტიკური მომენტი განსაზღვრავს
იმ დარღვევებს, რომლებიც სასაუბრო თუ სალიტერატურო ენაში შე-
ინიშნება მათი გამოყენებისას. როგორც ჩანს, **შინ** ფორმის ხმარება
შოკველებულად და ადამიანთა თანამედროვე კომფორტული საცხოვ-
რებლისათვის შეუფერებლად მიაჩნიათ. არც რუსულის გავლენაა გა-
მორიცხული. ამიტომაც მას **ბინაში** (//**ბინაზე**) და **სახლში** ფორმებით

ცვლიან. ამასთან, **ბინაში** (**//ბინაზე**) ლიტერატურის ენაში გამოიყენება, **სახლში** კი უპირატესად — სასაუბრო, ცოცხალ მეტყველებაში.

აქ ერთი მომენტიც არის გასათვალისწინებელი: **შინ** ზმნისართია და, ამდენად, არსებითი სახელის ფუნქციით მისი გამოყენების შესაძლებლობა ენას არა აქვს. საჭიროების შემთხვევაში მას კონტექსტის შესაფერისად ენაცვლება შესიტყვებები **მშობლიური სახლი**, **ჩემი ოჯახი**, **ჩემი ბინა**. მაგ.: „მხოლოდ ბრძოლის დროს, იარაღთან მდგომთ, შიმშილიც გვავიწყდებოდა და სიცივეც. და კიდევ მაშინ, როცა **შინიდან** წერილს მივიღებდით... ისინი 'ბარათები' მიცოცხლებდნენ **მშობლიური სახლის** სურათებს. თვალწინ მიდგებოდა **ჩვენი ბინა**... ახალი წლის წინა ღამეს კი თვალნათლივ დავინახე, როგორ ენთო **ჩვენს სახლში** ნაძვის ხე“ („საქ. ქალი“).

ჩადგან ასეთი ჩანაცვლების შესაძლებლობა ენაში არსებობს, მას სხვა შემთხვევებზედაც ავრცელებენ, რასაც შედეგად სტილისტიკური ხასიათის დარღვევები მოსდევს. კერძოდ, არ არის მართებული **ბინაში** (**//ბინაზე**) ფორმათა გამოყენება **შინ** ზმნისართის ნაცვლად ასეთ კონტექსტებში: „ოპერაციის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ ახლა ის **ბინაში** იმყოფება“ („სოფლ. ცხოვრ.“); „გრიბით დაავადებული ყველა ავადმყოფი ჰოსპიტალიზებული უნდა იყოს. მათ შორის: იოლი ფორმებით — თავიანთ **ბინებში**,... მძიმე ფორმით — სათანადო სამკურნალო დაწესებულებებში“ („კომ.“); „სადისპეტჩეროს საშუალებით შეიძლება **ბინაზე** გამოვიძახოთ... ხელოსანი, ძიძა და სხვ.“ („სოფლ. ცხოვრ.“); „...ადმინისტრაციამ... დანერგა... **ბინაზე** წამლის მიტანის პრაქტიკა“ („სამშ.“); „ეთერ ხანელიძეს **ბინაზე** დაურეკეს“ („კომ.“); „**მშობლები** თვალყურს ადევნებენ სკოლაში ბავშვის დროულად გამოცხადებას, **ბინაზე** დროულად დაბრუნებას“ („სოფ. ცხოვ.“). აქ წარმოდგენილ ყველა ილუსტრაციაში **ბინაში** (**//ბინაზე**) ფორმები **შინ** ზმნისართით უნდა შეიცვალოს.

მაგრამ ეგვე **-ში** თანდებულიანი სახელი **ბინაში** სავსებით ბუნებრივი და თავისი ფუნქციით გამოყენებული ფორმაა ასეთ კონტექსტებში: „ერთი თვეა ახალ **ბინაში** ვცხოვრობ“ („ლიტ საქ.“); „ყველანი ცალ-ცალკე **ბინაში** ვცხოვრობთ“ („თბილ.“); „ნაშუადღევს 4 საათზე მოქალაქე მ. გორდელაძის **ბინაში** მოკრძალებული ზარის ხმა გაისმა“ („თბილ.“); „პარიზში **ბინაში** ტელეფონის დადგმა ღირს 800 ფრანკი“ („თბილ.“).

სახლში ფორმის გამოყენება **შინ** ზმნისართის ნაცვლად ძირითადად სასაუბრო მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა მისი ნიმუშები უხვად მოიპოვება ნაბეჭდ პროდუქციაშიც. ჩვეულებ-

რივ, იხმარება: **სახლში** მივდივარ, **სახლში** ვიქნები, **სახლში** დამირეკე, **სახლში** დამრჩა... სხვა მაგალითები: „...წესების მიხედვით საცნობარო გამოცემები **სახლში** არ გაიცემა“ („თბილ.“); „მეც ვწურავ **სახლში** საკუთარი წარმოების ღვინოს... შექარი მე თვითონ მაქვს **სახლში** იმდენი, რომ ერთ ცისტერნა ღვინოს დააყენებს“ („თბილ.“); „ბაჩანა **სახლში** დაბრუნდა“ („ცისკ.“); „**სახლში** წასვლას მაინც ვერ მოვასწრებ“ („განთ.“). მოყვანილ ნიმუშებში **სახლში** სიტყვის ნაცვლად ყველგან **შინ** სიტყვა იყო მოსალოდნელი.

ასე რომ, კონტექსტებში, რომლებშიც **ჩემი, შენი, მისი საცხოვრებელი** — **ბინა** ან **სახლი** — შესაძლებელია ზმნისართული ფორმით გადმოვცეთ, **შინ** ფორმა უნდა ვიხმაროთ.

თუ კონტექსტში **-ში** თანდებულიან არსებით სახელებს **ბინა** და **სახლი** მსაზღვრელი სახელი ახლავს (ოღონდ მხოლოდ კუთვნილებითი ნაცვალსახელები არ არის საკმარისი ასეთ მსაზღვრელებად, მათთან ერთად სხვა სახელიც უნდა იყოს ამავე დანიშნულებით), ისინი სწორად, თავის ადგილას ყოფილა გამოყენებული. მაგ.: **შინ** არის, **შინ** დაუტრეკა, **შინ** მიიპატიჟა, **შინ** ინახულა, **შინ** ეწვია, **შინ** მიუტანა, **შინ** დაბრუნდა, **შინ** (მოპარული ნივთები) უპოვეს, მაგრამ: მეგობრები თავის **ახალ ბინაში** მიიპატიჟა, **მეზობლის ბინაში** ხანძარი გაჩნდა, მეხანძრე **აღმოადებულ ბინაში** შევარდა, ახალ წელს **მამისეულ სახლში** შეხვდა, **გორდელაძის სახლში** მოპარული ნივთები იპოვეს...

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ჩანს, რომ კონტექსტი ყოველთვის იძლევა იმის გარჩევის შესაძლებლობებს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ფორმა ვიხმაროთ: **ბინაში, სახლში** თუ **შინ**.

ბინაში//ბინაზე. ბინაში და **ბინაზე** ფორმები ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება მაშინ, როცა ისინი **შინ** ზმნისართს ენაცვლებიან, ე. ი. ფაქტობრივად მაშინ, როცა სწორი არც ერთის გამოყენებაა და არც მეორისა (საილუსტრაციო მასალა იხ. ზემოთ).

სხვა შემთხვევაში, როცა **ბინას**, ზემოთ წარმოდგენილი წესის მიხედვით, მსაზღვრელი სახელი ახლავს, მართებულ კონსტრუქციას მხოლოდ **-ში** თანდებულიანი ფორმით ქმნის: „პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის **ბინაზე** [უნდა იყოს: ბინაში]“ („თბილ.“); „აბესალომი რამდენიმე დღის შემდეგ თავისი ოთხი ბავშვით ახალშერთული მეუღლის **ბინაზე** [უნდა იყოს: ბინაში] გადასახლდა“ (რ. მიშვ.).

ბრალ- სიტყვას ზოგჯერ უმართებულოდ ენაცვლება **დანაშაული**. იხ. **დანაშაული** — **ბრალი** — **სასჯელი**.

ბრინჯაო იხ. **ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო**.

გაბგრძელეზს — განაგრძობს საერთო ძირისა და სხვადასხვა წარმოების სინონიმური სიტყვებია. მათი მნიშვნელობაა: დაწყებულის არშეწყვეტა, განახლება, გადაადგილება, წინსვლა, მატება მანძილში ანდა დროში.

ხშირად ამ სიტყვათა მნიშვნელობები ერთმანეთს ფარავს. შეიძლება ვთქვათ როგორც: **გზას, მოგზაურობას განაგრძობს**, ისე: **გზას, მოგზაურობას გააგრძელებს**; ასევე: **სიარული, ლაპარაკი გააგრძელა** და **სიარული, ლაპარაკი განაგრძო**. მცირე განმასხვავებელი ნიუანსი მაინც შეიმჩნევა: **განაგრძობს** ზმნა მოქმედების, პროცესის უწყვეტობაზე უფრო მიუთითებს, ხოლო **გააგრძელებს** — ამ მოქმედების პროცესის გაქიშვა-გაჭიანურებაზე დროსა თუ სივრცეში. **გზას განაგრძობს** აუცილებლობით გულისხმობს ადრე დაწყებულისა და შემდგომ შეწყვეტილი სიარულის გაგრძელებას, განახლებას, ხოლო **შესიტყვებას — გზას გააგრძელებს** — აღნიშნული ნიუანსის გამოხატვასთან ერთად შეუძლია გზის სივრცობრივი დაგრძელება-გაჭიმულობის ჩვენებაც. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ფორმაწარმოების თვალსაზრისით **აგრძელებს** უფრო მოქნილია: გარდა იმისა, რომ იგი სხვადასხვა ზმნის-წინს დაირთავს განსხვავებული ლექსიკური შინაარსის გამოსახატავად, ამ ზმნას სათანადო ვნებითის ფორმებიც ეწარმოება; განარჩევს ქცევის, კონტაქტის, ასპექტის სახეებს, რომელთა დიდ ნაწილს მოკლებულია ზმნა **განაგრძობს**.

თანამედროვე ქართულში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ **განაგრძობს** ფორმა შემოიფარგლოს ზოგადი მოქმედების სახელებით გადმოცემული პროცესის უწყვეტობის ჩვენებით, **აგრძელებს** ზმნამ კი უფრო კონკრეტული დროული ანდა სივრცობრივი გაგრძელება გამოხატოს.

ამ თვალსაზრისით უმჯობესი იყო საწყისებთან — **მუშაობა, მიღება, ცხოვრება, შეჯიბრება...** გამოყენებული ყოფილიყო **განაგრძობს** და არა **აგრძელებს**: „თბილისის I ავტოშემკეთებელი ქარხანა **აგრძელებს...** [უმჯობესია: განაგრძობს] ავტომაქანების მიღებას კაპიტალურ შეკეთებაში უგანაწესოდ“ („კომ.“); „ბაკურიანში **მუშაობას აგრძელებს** [უმჯობესია: განაგრძობს] ახალგაზრდა შემოქმედთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი“ („ახ. კომ.“); „კარგად ვიცით, რომ ეს სიყვარული ახლა „მოდლიან გასულად“ ითვლება, მაგრამ რას ვიზამთ? ის არსებობს, არ ნელდება, და ჩვენ **ვაგრძელებთ** [უმჯობესია: განვაგრძობთ] მისი სიხარულითა და სევდით **ცხოვრებას**“ („ახ. კომ.“); „ვალდებულების დასკვნით მუხლში წერია, რომ ისინი